



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობას

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	4
1.2 ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	4
1.2 არაფინანსური აქტივები	5
1.3 ვალდებულებები	8
1.4 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	8
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	9
2.1 მერიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები	9
2.2 ტრანსპორტის ხარჯების ოპტიმიზაციის საკითხი	14

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გასცა უარყოფითი მოსაზრება შემდეგ გარემოებათა გამო:

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.2 ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

გამოვლენილი გარემოებები

-)/ მერიის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების თანახმად, „აქციების და სხვა კაპიტალის“ ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მინიმუმ 123,103,791 ლარით უზუსტოდ (შემცირებულად) არის წარმოდგენილი (რეკომენდაცია N1).
-)/ ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშზე „მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯამში მინიმუმ 7,647,930 ლარით უზუსტოდ (შემცირებულად) არის წარმოდგენილი (რეკომენდაცია N2).
-)/ ანგარიშზე „მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ რიცხული 1,285,774 ლარის ღირებულების მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოშობილია 2003-2007 წლებში, ვერ იქნა დოკუმენტაცია წარმოდგენილი (რეკომენდაცია N2).
-)/ მერიის 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშზე „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯამში, მინიმუმ 1,702,529 ლარით უზუსტოდ (გაზრდილად) არის წარმოდგენილი (რეკომენდაცია N2).
-)/ ბალანსზე ირიცხება 1,542,902 ლარის „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“, რომლებიც წარმოშობილია 1996-2008 წლებში. მოთხოვნებთან დაკავშირებით ვერ იქნა დოკუმენტაცია წარმოდგენილი (რეკომენდაცია N2).
-)/ მერიის 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები“ შეადგენს 4,200 ლარს, ხოლო „მომუშავეების მიმართ მოთხოვნები“ - 90,877 ლარს. მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 18 ნოემბრის N1019 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შედეგებში ასახულია, რომ აღნიშნული მოთხოვნებიდან 93,663 ლარი წარმოშობილია 2002-2008 წლებში და მათი წარმოშობის საფუძვლები არ იძებნება, ასევე ნაწილზე ვერ ხერხდება მოვალის იდენტიფიცირება (რეკომენდაცია N2).
-)/ მერიას, დადგენილი რეგულაციის შეუსაბამოდ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღრიცხული არ აქვს ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მიმწოდებლებზე დარიცხული პირგასამტეხლოები, ჯამში, მინიმუმ 371,850 ლარის და 11,325 ევროს ექვივალენტი ლარის ოდენობით (რეკომენდაცია N1).

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი და უტყუარი წარდგენის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ, სათანადო პროცედურების საშუალებით, გამოიკვლიოს ბუღალტრულ აღრიცხვაში არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და დაუყოვნებლივ უზრუნველყოს საბუღალტრო მონაცემების რეალურ ფინანსურ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

რეკომენდაცია N2

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი და უტყუარი წარდგენის მიზნით, მერის ბრძანებით შექმნილმა შესაბამისმა კომისიამ გაააქტიუროს მერიის ბალანსზე რიცხული მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლისა და ჩამოწერის პროცესი მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

1.2 არაფინანსური აქტივები

გამოვლენილი გარემოებები

-) მუნიციპალიტეტის მერიაში 2016 წელს ინვენტარიზაცია ჩატარებული აქვს მხოლოდ ადმინისტრაციული დანიშნულების მქონე მოძრავ ქონებას და მცირეფასიან აქტივებს, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 814,715 ლარი, რაც მერიის ბალანსზე რიცხული 670,451,855 ნარჩენი ღირებულების არაფინანსური აქტივების 0.12%-ს შეადგენს (რეკომენდაცია N3).
-) მერიის ბალანსზე რიცხული 701 ერთეული საცხოვრებელი შენობის მონაცემების შერჩევითი გადამოწმებით დასტურდება, რომ საცხოვრებელი შენობების უმრავლესობა იმყოფება კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში და არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებას (რეკომენდაციები N1; N4).
-) მერიის ბალანსზე რიცხული არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მონაცემების შერჩევითი გადამოწმებით დასტურდება, რომ ქონების ნაწილი პრივატიზებულია ან/და უზუფრუქტით გადაცემულია მესამე პირებს. შესაბამისად, მათი მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე ყოფნის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. მათ შორის: ჭადრაკის სასახლის შენობა-ნაგებობა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 964,234 ლარი; ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა - თერთმეტწლედის შენობა და გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 101,086 ლარი; 4 შენობა-ნაგებობა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 21,085 ლარი (რეკომენდაციები N1; N4).
-) მერიის ბალანსზე ირიცხება ისეთი ძირითადი აქტივები, როგორიცაა: ქუჩები, განათება, ხიდები, გაყვანილობების სისტემები, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რა დაფინანსებაც მერიის მიერ გაწეულ იქნა უკანასკნელი წლების განმავლობაში. მერიის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ქონების დანარჩენი ნაწილი არ არის აღრიცხული საბუღალტრო მონაცემებში (რეკომენდაცია N5).

-) მერიის ბალანსში დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ანგარიშზე ირიცხება ადგილის საკანალიზაციო სისტემის გამწმენდი შენობა-ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები, ღირებულებით 45,941,305 ლარი. აღნიშნული აქტივები მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 20 სექტემბრის N02/1980 ბრძანებით, კაპიტალში შენატანის სახით, გადაცემულია შპს „ბათუმის წყალსთვის“ (რეკომენდაციები N1; N4).
-) დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ანგარიშზეა აღრიცხული ანბანის კოშკის სამშენებლო სამუშაოები ღირებულებით 17,876,142 ლარი. აღსანიშნავია, რომ კოშკი საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N32 განკარგულებით უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას (რეკომენდაციები N1; N4).
-) მერიის ბალანსზე დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ანგარიშზე ირიცხება საზაფხულო თეატრის სამშენებლო სამუშაოები, ღირებულებით 7,502,529 ლარი და საზაფხულო თეატრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ღირებულებით 83,036 ლარი. საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 2 აპრილის N02/174 ბრძანებით, საზაფხულო თეატრის შენობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტით გადაეცა ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრს (რეკომენდაციები N1; N4).
-) მერიის ფინანსურ ანგარიშგებაში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალურ ძირითად აქტივებად აღრიცხული ქონების ნაწილი არ აკმაყოფილებს არამატერიალურ აქტივად შეფასების კრიტერიუმებს. კერძოდ, არამატერიალურ აქტივად არის აღიარებული საგადასახადო დოკუმენტები, იურიდიული ლიტერატურა, სხვადასხვა ხასიათის წიგნები, პლაკატები და ა.შ. (რეკომენდაცია N1).
-) მერიის ფინანსურ ანგარიშგებაში „არაწარმოებული აქტივების“ ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7,645,112 ლარით უზუსტოდ (გაზრდილად) არის წარმოდგენილი. მოპოვებული მტკიცებულებებით, მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 14 ერთეული მიწის ნაკვეთიდან 12 ერთეული პრივატიზებულია ან/და გადაცემულია სხვა იურიდიულ პირებზე (რეკომენდაციები N1; N4).
-) მერიის ბალანსში „სხვა მატერიალური მარაგის“ ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამში, მინიმუმ 34,613,729 ლარით უზუსტოდ (გაზრდილად) არის წარმოდგენილი. კერძოდ:

 - მერიას ანგარიშზე „სხვა მატერიალური მარაგები“ აღრიცხული აქვს 32,604,729 ლარის ღირებულების ანბანის კოშკის სამშენებლო მასალები. ანბანის კოშკი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N32 განკარგულებით, უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას (რეკომენდაციები N1; N4).
 - მერიას ანგარიშზე „სხვა მატერიალური მარაგები“ აღრიცხული აქვს 5 ერთეული სარეკლამო ეკრანი საერთო ღირებულებით 2,009,000 ლარი. აღსანიშნავია, რომ მათი მონტაჟის და ქსელთან მიერთების სამუშაოები აღრიცხულია ძირითადი აქტივების ანგარიშზე, ნარჩენი ღირებულებით 112,138 ლარი. აღნიშნული სარეკლამო ეკრანები მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 17 მარტის N253 ბრძანებით და მის საფუძველზე გაფორმებული 2016 წლის 22 მარტის თხოვნების ხელშეკრულებით გადაცემული აქვს ა(ა)იპ - ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს არსებობის ვადით, უსასყიდლო თხოვნების ფორმით (რეკომენდაციები N1; N4).

- მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსურ ანგარიშგებაში 2016 წლის ბოლოს ანგარიშზე „სხვა მატერიალური მარაგები“ ნაშთად ირიცხება გარე განათების ბოძები, ღირებულებით 12,859,592 ლარი, დეკორატიული ფილები, ღირებულებით 654,245 ლარი და ბოძკინტები, ღირებულებით 365,941 ლარი. აღნიშნული მასალები ძირითადად შეძენილია 2009-2014 წლებში. აუდიტის ობიექტის განმარტებით, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებაში არ იძებნება აღნიშნული ნედლეულის და მასალების გაცემის, დამონტაჟების ან ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (რეკომენდაციები N3; N4; N5).
- მერიას მარაგების სახით აღრიცხული აქვს 61,172 ლარის მედიკამენტები. აუდიტის ობიექტის განმარტებით, აღნიშნული მედიკამენტები შეძენილია 2008-2009 წლებში ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში და სავარაუდოდ წარმოდგენილი არ არის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აუდიტის ჯგუფის მიერ, წერილობითი ფორმით, მოთხოვნილ იქნა მერიის წარმომადგენელთან ერთად მედიკამენტების ფიზიკური დათვალიერება, თუმცა აუდიტის ობიექტის მხრიდან მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ამასთანავე, მერიის ადმინისტრაციული დანიშნულების მქონე მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალებში აღნიშნული მარაგები ნაშთად არ ფიქსირდება, ხოლო საწყობზე პასუხისმგებელ პირს მედიკამენტებზე ინფორმაცია არ აქვს (რეკომენდაციები N3; N4; N5).
- მერიის ბალანსზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 89,321 ლარის სათადარიგო ნაწილები. აუდიტის ობიექტის განმარტებით, აღნიშნული ნაწილები შეძენილია 2008-2016 წლებში და სავარაუდოდ, წარმოდგენილი არ არის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აუდიტის ჯგუფის მიერ, წერილობითი ფორმით, მოთხოვნილ იქნა მერიის წარმომადგენელთან ერთად სათადარიგო ნაწილების ფიზიკური დათვალიერება, თუმცა აუდიტის ობიექტის მხრიდან მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ამასთანავე, მერიის ადმინისტრაციული დანიშნულების მქონე მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალებში აღნიშნული სათადარიგო ნაწილები ნაშთად არ ფიქსირდება. (რეკომენდაციები N3; N4; N5).

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N3

სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, მერიის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს მერიის ბალანსზე რიცხული აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაციის ჩატარება და შედეგების ბუღალტრული ასახვა.

რეკომენდაცია N4

სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, მერიის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომ სტრუქტურულ ერთეულებს ჰქონდეთ მუდმივი და

გამართული კომუნიკაცია, რათა ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილებას დროულად და სრულად მიეწოდოს მისთვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები.

რეკომენდაცია N5

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების სრულყოფილად ასახვის მიზნით, მერიის ხელმძღვანელობამ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, მათ შორის, საკუთარი რესურსი, რათა განახორციელოს საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა, მისი შეფასება და ბალანსზე ასახვა, ხოლო არარსებული ქონების ჩამოწერა შესაბამისი პროცედურებით.

1.3 ვალდებულებები

გამოვლენილი გარემოებები

- 1) მერიის ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშზე „არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ ნაშთი, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 217,785 ლარით უზუსტოდ (გაზრდილად) არის წარმოდგენილი (იხ. რეკომენდაციები N1; N3).
- 2) მერიის ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშზე „ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებების“ ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამში, მინიმუმ 371,850 ლარის და 11,325 ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობით უზუსტოდ (შემცირებულად) არის წარმოდგენილი. აღნიშნული დავალიანებები წარმოადგენს ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო დარიცხული მოთხოვნებით წარმოშობილ დავალიანებებს ბიუჯეტის წინაშე (იხ. რეკომენდაცია N1).
- 3) მერიის ფინანსურ ანგარიშგებაში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 30,414 ლარის ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობილია 2002-2004 წლებში. მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 18 ნოემბრის N1019 ბრძანებით შექმნილი ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ ვალდებულებებთან დაკავშირებით არ მოიძებნა დოკუმენტაცია და ხანდაზმულობის გამო ექვემდებარება კორექტირებას (იხ. რეკომენდაცია N1).

1.4 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გამოვლენილი გარემოებები

მერიის ფინანსური ანგარიშგების თანახმად, ძირითადი კაპიტალის მოხმარების ფაქტობრივი ხარჯი, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 12,064,396 ლარს. აუდიტორული პროცედურების შედეგად დგინდება, რომ ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯში ასახულია იმ ძირითად აქტივებზე დარიცხული ცვეთაც, რომელიც მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, არ ექვემდებარებოდა მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე აღრიცხვას, რაც ხელოვნურად ზრდის ძირითადი კაპიტალის მოხმარების ფაქტობრივ ხარჯს (რეკომენდაცია N6).

რეკომენდაცია N6

მუნიციპალიტეტის მერიამ, არაფინანსური აქტივების სრული ინვენტარიზაციის დასრულების შემდეგ, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის მერიის ძირითადი კაპიტალის მოხმარების 2016 წლის ფაქტობრივი ხარჯების ხელახალი კალკულაცია.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 მერიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

გამოვლენილი გარემოებები

-) მერიაში დადებითი შედეგით დასრულებული ტენდერების (კონსოლიდირებული ტენდერების გარდა) 54.1% ჩატარდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით და შესყიდვის სავარაუდო ღირებულება უმეტეს შემთხვევაში არ შეცვლილა ან უმნიშვნელოდ შემცირდა. ათი ყველაზე მაღალბიუჯეტის შესყიდვის ანალიზმა, რომელშიც მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა, გვიჩვენა, რომ ამ შესყიდვების ჯამური სავარაუდო ღირებულება (26,506,578 ლარი), მხოლოდ 0.5%-ით შემცირდა (26,380,067 ლარამდე). განსხვავებულ შედეგს იძლევა მინიმალური კონკურენციის პირობებში ჩატარებული ტენდერები. ათი, შედარებით მაღალბიუჯეტის შესყიდვის ანალიზმა, რომელშიც რამდენიმე პრეტენდენტი მონაწილეობდა, გვიჩვენა, რომ ამ შესყიდვების ჯამური სავარაუდო ღირებულება - 7,054,887 ლარი, 5,840,788 ლარამდე შემცირდა, რამაც საბიუჯეტო სახსრების 17.2%-იანი ეკონომია გამოიწვია. მერიის შესაბამის სამსახურებს არ ჩაუტარებიათ კვლევა არაკონკურენტული ტენდერების მიზეზების დასადგენად. მოპოვებული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს არასრულყოფილი დაგეგმვა, ტექნიკური პირობების კონკრეტულ დაინტერესებულ კომპანიაზე მისადაგება, ბაზარზე არსებულ კომპანიებს შორის ურთიერთშეთანხმება და ა. შ. (რეკომენდაცია N7).
-) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, უცხოური საწარმოს ფილიალმა „კონვენტ ჯორჯიამ“, საავანსო ანგარიშსწორებისთვის მერიას წარუდგინა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული კომპანიის - POINT BANK Ltd-ის მიერ გაცემული გარანტია. გარანტია ფორმალურად ავიზირებული იყო სს „ბაზისბანკის“ მიერ. ავიზირების წერილში აღნიშნულია, რომ „ბაზისბანკი“ არ ფლობს ინფორმაციას გარანტორის და მისი გადახდისუნარიანობის შესახებ. ასევე „ბაზისბანკი“ არ იღებს არანაირ ფინანსურ და სხვა სახის ვალდებულებებს ბენეფიციარის წინაშე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მერიამ ჯამში საავანსო ანგარიშსწორების ფორმით „კონვენტ ჯორჯიას“ გადაურიცხა 1,621,185 ლარი, საიდანაც „კონვენტ ჯორჯიას“ მიერ 1,061,000 ლარი გადარიცხულ იქნა შპს „მსუბუქი მშენებლობის ჯგუფისთვის“, 282,809 ლარი - შპს „გლობალ დეველოპმენტ კონსალტინგისთვის“, დანარჩენი 277,376 ლარი გაწეულია სხვადასხვა ხარჯებზე, მათ შორის, გაცემული ხელფასი შეადგენს 66,085 ლარს. საავანსო გადახდები გაწეულია ისე, რომ მერიას არ განუხორციელებია ხარჯების გაწევის მიზანშეწონილობის გამოკვლევა და არ უმსჯელია გარანტიის გამცემი კომპანიის სანდოობაზე, მით უმეტეს, „ბაზისბანკი“ ავიზირების წერილში მიუთითებდა, რომ არ ფლობს ინფორმაციას

POINT BANK Ltd-ის გადახდისუნარიანობის შესახებ და არც ვალდებულებებს იღებს ბენეფიციარის წინაშე (რეკომენდაცია N8).

-) ქილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებზე, შპს „მშენებელი 80-თან“ გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, 2016 წელს შესრულებულია 1,137,798 ლარის ღირებულების სამუშაოები. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებულია თითოეულ ეტაპზე, ანგარიშსწორებამდე, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან. 2016 წელს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები, რითაც დადასტურებულია სამუშაოების შესრულება, სრულყოფილად არ მოიცავს ინფორმაციას შესრულებული სამუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობაზე. ექსპერტიზის დასკვნებით, „აზომვები ჩატარებულია ხილულ სამუშაოებზე, ხოლო იმ სამუშაოებზე, რომლებიც განეკუთვნება ფარულ სამუშაოთა კატეგორიას და რომელთა გაზომვაც ექსპერტიზის ჩატარების პერიოდში შეუძლებელი იყო, გათვალისწინებულ იქნა წარმოდგენილი ფარული სამუშაოს აქტებით, ხოლო იმ სამუშაოებზე, რომლებზედაც არ არის წარმოდგენილი ფარულ სამუშაოთა აქტები, გათვალისწინებულ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. წარმოდგენილ ფარულ სამუშაოთა აქტებში არ არის დაფიქსირებული სამუშაოს მოცულობები, ამიტომ მათი ჩათვლა დამკვეთის პრეროგატივაა“. ექსპერტიზის დასკვნებში არ არის მითითებული, რა რაოდენობისა და ღირებულების ფარულ სამუშაოებზეა გაცემული დასკვნა და რა რაოდენობის სამუშაოების ჩათვლა ექვემდებარება დამკვეთის პრეროგატივას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული ფარული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 883,095 ლარს, რაც მთლიანი სამუშაოები 77.6%-ია (რეკომენდაცია N9).

-) მწვანე კონცხის დასახლებაში, ქუჩების გაფართოებისა და ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით მიღება-ჩაბარების აქტებით დადასტურებულია 3,230,581 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება, თუმცა სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნებით ირკვევა, რომ ის სამუშაოები, რომლებიც ექსპერტიზის წარმოების პერიოდში შეუძლებელი იყო შედარებოდა წარმოდგენილ ნახაზებს (მაგალითად, ბეტონის მოცულობა, არმატურის სახეობა და მათი რაოდენობა, აგრეთვე სხვა არახილული სამუშაოები), მათი ჩათვლა დამკვეთის პრეროგატივაა. ექსპერტიზის დასკვნებში არ არის იდენტიფიცირებული, თუ რა რაოდენობის და ღირებულების ფარულ და ბეტონის სამუშაოებზეა გაცემული დასკვნა და რა რაოდენობის სამუშაოების ჩათვლა ექვემდებარება დამკვეთის პრეროგატივას. შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის შესაბამისობის დოკუმენტური დადასტურების გარეშე, მერიის მიერ მიმწოდებლებზე გადახდილია 3,230,581 ლარი. მათ შორის, ფარული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 1,254,742 ლარს, რაც სამუშაოების მთლიანი ღირებულების 38.8%-ია (რეკომენდაცია N9).

-) გზების სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით, შესაბამის ხელშეკრულებებში არ არის მითითებული შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ადგილმდებარეობა (ქუჩა, უბანი, დასახლება). მხარეებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში აღნიშნულია ქუჩის დასახელება, სადაც შესრულებულია ქუჩის შეკეთების სამუშაოები, მაგრამ არ არის გამოიჯნული გზის რა მონაკვეთსა და რა მანძილზე (პიკეტაჟი, ნომერი და სხვ.) განხორციელდა სარემონტო სამუშაოები. ხშირ შემთხვევებში, შესასრულებელი სამუშაოს ადგილმდებარეობად მითითებულია ერთი და იგივე დასახელების ქუჩა, სადაც არ არის მითითებული ქუჩის მონაკვეთი, ნომერი ან უბანი (თამარ მეფის გამზირი, მაიაკოვსკის, გოგოლის, ზედა ღელის, დადიანის, ფარავას, შავშეთის, ს. მესხის, ლეონიძის ქუჩები და სხვ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური პირობით გათვალისწინებული ტექნოლოგიით სამუშაოების შესრულებასა და გამოყენებული მასალების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაზე არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები (რეკომენდაცია N10).
-) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტის შესაბამისად, არ ითვალისწინებდა შესრულებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრას შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. შესაბამისად, მერიის მიერ ჯამში 101,598 ლარის ანგარიშსწორება განხორციელებულია იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლების მიერ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ (რეკომენდაცია N11).
-) მერია ყოველწლიურად ახორციელებს გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაციის სახელმწიფო შესყიდვას. 2011 წლიდან აღნიშნული მომსახურების შესყიდვების ანალიზით ირკვევა, რომ შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერები უკონკურენტოა და მასში მონაწილეობს მხოლოდ ერთი პრეტენდენტი - შპს „აჭარგანათება“. 2016 წელს გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაციის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერშიც, სადაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 1,041,075 ლარს, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ოდენობის შეთავაზებით გაიმარჯვა შპს „აჭარგანათებამ“, რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობები შესაძლოა არსებითად ზღუდავდეს კონკურენციას და მორგებული იყოს კონკრეტული პრეტენდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს 17,625 ცალი გარე განათების წერტილის მოვლა-ექსპლუატაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულყოფილად არ არის განხორციელებული არცერთ თვეში. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულება მომსახურების სრულყოფილად შეუსრულებლობის მიზეზებთან დაკავშირებით. აღნიშნულ პირობებში, შემსყიდველის მიერ არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული

უფლებამოსილება ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და ჯარიმის დაკისრებასთან დაკავშირებით (რეკომენდაციები N7, N12).

-) საერთაშორისო ფესტივალებისა და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში, მერიის მიერ გამართივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებულია „საავტორო კინოს ბათუმის XI საერთაშორისო ფესტივალის“ ორგანიზების მომსახურების შესყიდვა, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 149,998 ლარი. „საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალის“ ორგანიზების მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 2014 და 2015 წლებში გამოცხადებულ ტენდერებში შეადგენდა 119,995 ლარს, 2016 წელს - 149,998 ლარს, ხოლო 2017 წელს შეადგინა - 200,000 ლარი. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ შემსყიდველის მიერ ბაზრის კვლევა ფორმალურ ხასიათს ატარებს და ეყრდნობა მხოლოდ ბოლო წლებში მიმწოდებელი ორგანიზაციის მონაცემებს. ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი და გამარჯვებული გამოვლინდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ოდენობის შეთავაზებით. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 149,998 ლარი. ტენდერში კონკურენციის არარსებობის მთავარი მიზეზი შესაძლოა იყოს კონკრეტულ დაინტერესებულ პირზე მორგებული ტექნიკური პირობები. კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ფილმების შერჩევა საკონკურსო და არასაკონკურსო სექციისთვის, საერთაშორისო ჟიურის შერჩევა და სხვ. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ფესტივალის ორგანიზატორ კომპანიას ფილმების შერჩევა საკონკურსო და არასაკონკურსო სექციისთვის, ისევე როგორც საერთაშორისო ჟიურის შერჩევა ტენდერის გამოცხადების პერიოდამდე (2016 წლის 1 სექტემბერი) დასრულებული და გამოქვეყნებული ჰქონდა. შესაბამისად, ტენდერის საშუალებით შესყიდვის განხორციელება ფორმალურ ხასიათს ატარებდა (რეკომენდაცია N7).

-) საერთაშორისო ფესტივალებისა და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში, შესყიდვის ელექტრონული საშუალებებით განხორციელებულია კინო და ტელეოპერატორების საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზების მომსახურების და ბათუმის ანიმაციური ფილმების VIII საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამის ორგანიზების მომსახურებების შესყიდვა. ზემოაღნიშნულ ტენდერებშიც მონაწილეობდა თითო პრეტენდენტი და გამარჯვებული გამოვლინდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ოდენობის შეთავაზებით. კერძოდ, კინო და ტელეოპერატორების საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზების მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 60,000 ლარი, ხოლო ბათუმის ანიმაციური ფილმების VIII საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამის ორგანიზების მომსახურების შესყიდვაზე - 29,995 ლარი. აღნიშნულ ტენდერებში კონკურენციის არარსებობას შესაძლოა სხვადასხვა გარემოებები განაპირობებს. მათ შორის, ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის საერთაშორისო კულტურული ფესტივალის მომსახურების გამოცდილების მოთხოვნა იმ პირობებში, როდესაც შესყიდვის ძირითადი ნაწილი გულისხმობს სატრანსპორტო, სასტუმრო და სარესტორნო მომსახურებას (რეკომენდაცია N7).

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N7

კონკურენტუნარიანი ტენდერების მოსამზადებლად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრის მიზნით, მერიამ გაატაროს სათანადო ღონისძიებები სატენდერო დოკუმენტაციის სწორად ჩამოყალიბების, პოტენციური მიმწოდებლების დაინტერესებისა და ბაზრის კვლევის ახალი მეთოდების დანერგვის თვალსაზრისით.

რეკომენდაცია N8

მერიამ სახელმწიფო შესყიდვებში საავანსო ანგარიშსწორება განახორციელოს მხოლოდ წინასწარი ანგარიშსწორების გაწევის მიზანშეწონილობის გამოკვლევის შემდეგ, გარანტორი ბანკისა და მიმწოდებელი კომპანიის სანდოობის შეფასების საფუძველზე.

რეკომენდაცია N9

მერიამ სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დროს, ფარული (არახილული) სამუშაოების შეფასება, მიღება-ჩაბარება და ანაზღაურება განახორციელოს მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული, უტყუარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში.

რეკომენდაცია N10

მერიამ გზების სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიღება-ჩაბარების დროს, საჯარო ფინანსების ეკონომიური და მიზნობრივი ხარჯვის უზრუნველსაყოფად, შესაბამის დოკუმენტაციაში სრული სიზუსტით ასახოს შესრულებული სამუშაოს ადგილმდებარეობა (დასახლება, ქუჩა, ნომერი, პიკეტაჟი და ა. შ.) და მხოლოდ შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შემდეგ განახორციელოს გადახდა.

რეკომენდაცია N11

მერიის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება მოხდეს, მხოლოდ მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაბამისი ხელშეკრულებების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში. ამასთანავე, გასული პერიოდის შესყიდვებისთვის, საჭიროა მერიამ მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი დანახარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N12

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, კონტროლის მექანიზმების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მერიამ იმსჯელოს შეუსრულებელი ვალდებულების თანაზომიერი პირგასამტეხლოს განსაზღვრაზე, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოს აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანი გამოყენება.

2.2 ტრანსპორტის ხარჯების ოპტიმიზაციის საკითხი

გამოვლენილი გარემოებები

მერიის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა შეადგენს 62 ერთეულს. გარდა აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა, მერია წლის განმავლობაში სარგებლობდა 42 ერთეული ისეთი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, რომელიც არ ირიცხება მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე და იმყოფებოდა მერიის საჯარო მოსამსახურეების პირად საკუთრებაში/მფლობელობაში. აღნიშნულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაცემულია 38,773 ლარის ღირებულების 28,435 ლიტრი საწვავი. აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი გაცემული საწვავის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის ხარჯვის დოკუმენტური დადასტურება.

მერის შესაბამისი ბრძანებით, საწვავის ლიმიტი განსაზღვრულია მორიგე ავტომანქანებზე. მოქმედი რეგულაციებით, სამორიგეო ავტომობილი წარმოადგენს ზოგადი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად განკუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომელიც გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე. მორიგე ავტომობილებზე, მოწოდებული ინფორმაციით, სულ გახარჯულია 6,941 ლიტრი საწვავი, საიდანაც 3,570 ლიტრი საწვავის ხარჯვაზე ვერ იქნა წარმოდგენილი სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მერიას არ აქვს დადგენილი შესაბამისი კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელ თანამშრომელს ესაჭიროება განპიროვნებული ავტომანქანა. აგრეთვე არ არის განსაზღვრული, რა საჭიროების გათვალისწინებით ხდება მერიის თანამშრომელთა პირად საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის გამოყოფა/ლიმიტების დადგენა (რეკომენდაცია N13).

რეკომენდაცია N13

მერიის ხელმძღვანელობამ საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებით, შეიმუშაოს ტრანსპორტის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების ოპტიმიზაციის გეგმა, სადაც განისაზღვრება კრიტერიუმები, რომლის გათვალისწინებითაც განხორციელდება მერიის თანამშრომლისთვის განპიროვნებული ავტომანქანის გადაცემა, აგრეთვე პირად საკუთრებაში/ მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის გამოყოფა/ლიმიტების დადგენა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE